შპს.ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
Georgian-American International school Progress

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

2023-2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით განსაზღვრულია შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის (შემდგომში „სკოლა“) მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები.
2. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აუცილებელ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას.
3. სკოლაში, როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, ,,Notebook’’-ები, პროექტორები, პრინტერები, ,,SMART BOARD’’, ,,SMART TABLE, ტელევიზორები, რუკები, გლობუსები, წიგნები, ლაბორატორიები და სხვა.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება.
2. მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისათვის;
- მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება; აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა;
- ხელს უწყობს მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები და ფუნქციები

სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპებია:

- სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის.
- მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო

საზოგადოებისთვის; მუხლი 4. ლაბორატორია

1. სკოლას აქვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

2. სკოლაში ასევე, დანერგილია STEM Education სწავლება, რისთვისაც სკოლას შეძენილი აქვს სხვადასხვა პატარა რობოტებები, მზის რობოტები, წრედები და ა.შ

3. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია:

ა) ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები. ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში;

ბ) ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებით, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩაატარონ სხვადასხვა ექსპერიმენტები; ოთახს აქვს შემდეგი რესურსები: - პროექტორი სადგამით, კომპიუტერი, მაგნიტური დაფა.

გ) ქიმიის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები: მიკროსკოპები, რეაქტივები, კოლბები, სხვადასხვა ინვენტარი, რომლითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სარგებლობისას გაკვეთილის მიმდინარეობისას ლაბორატორიის კარი უნდა დაიხუროს.

5. ექსპერიმენტის, ცდის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მიღების შემდეგ.

6. ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მისაღებად, მოსწავლე მასწავლებლისგან უნდა გაეცნოს ლაბორატორიული ამოცანის აღწერას და მისი შესრულების უსაფრთხო წესებს.

7. ყოველი ცდის ჩატარების დროს უნდა იქნას გამოყენებული ერთჯერადი ხელთათმანები. ხელთათმანების გადაყრა უნდა მოხდეს ცდის დასრულებისთანავე ლაბორატორიაში განთავსებულ სანაგვე ურნაში;

8. დაუშვებელია ცდის ჩატარება დამცავი სათვალის გარეშე;

9. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა/მოსწავლემ ხელსაწყო უნდა გამორთოს, სამუშაო ადგილი და ლაბორატორია მოწესრიგებულად დატოვოს.

10. აწყობილი ხელსაწყოს ჩართვამდე მოსწავლე ვალდებულია აჩვენოს მასწავლებელს მომზადებული დანადგარი, ექსპერიმენტის, ცდის შესრულების მსვლელობის ჩასაწერად მომზადებული დაკვირვების ფურცელი (ასეთის შემთხვევაში).

11. დაუშვებელია ელექტრულ ხელსაწყოებთან მუშაობა სველი ხელით. დიდი ტევადობის კონდენსატორებთან მუშაობისას აუცილებელია ინდივიდუალური უსაფრთხოების

საშუალებების გამოყენება – დამცავი ხელთათმანი, იზოლირებული სახელურები, დამჭერები და ა.შ.

12. დაუშვებელია ელექტრო ხელსაწყოების არაიზოლირებულ მომჭერებთან დაუცველი ხელის შეხება.

13. თხევადი და მყარი სხეულების გახურებისას დაუშვებელია ჭურჭელში ზემოდან ჩახედვა.

14. დაუშვებელია ლაზერის სხივის ან მისი ანარეკლის მიმართვა თვალში, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს თვალის დაზიანება და მხედველობის დაკარგვაც კი.

15. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მოსწავლის ან/და მასწავლებლის მიერ ცდისათვის საჭირო მასალის თვალებთან ან პირთან ახლოს მიტანა;
16. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა;
17. სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი სხეულების (მაგ.ქაღალდი),დადება არ შეიძლება;
18. დაუშვებელია ცდის მსვლელობისას გაცხელებული ჭურჭლის შენახვა მის გაცივებამდე;
19. აუცილებელია მოხდეს თითოეული ინციდენტის ადეკვატური შეფასება, დაწესდეს ზედამხედველობა;
20. ცდის ჩატარებისას, თუ რომელიმე ნივთიერება შემთხვევით კანზე მოხვდება, მოსწავლეს ან/და მასწავლებელს აუცილებლად უნდა მოხდეს საპნიანი წყლით დამუშავება და სკოლის ექიმთან კონსულტაციის გავლა;
21. ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.
22. მინის საგნების გატეხვის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ გასუფთავდეს ლაბორატორია მინის ნარჩენებისაგან.
23. სამუშაო ზონაში აკრძალულია საკვებისა და სასმელის მიღება, პირადი ნივთების შენახვა.
24. ლაბორატორია უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული, დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მაგიდაზე განთავსებული იყოს სხვა სახის ნივთიერებები, რომელიც ცდისათვის არ გამოიყენება;
25. ინფორმაცია უბედური შემთხვევის ან აშკარა პოტენციური დაზიანების/საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორს;
26. ლაბორატორიაში აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია, სკოლას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ეს გამოწვეულია ექსპერიმენტის (ცდის) ჩატარებისას.

მუხლი 5. სკოლის ბიბლიოთეკა

1. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს;
2. სკოლის ბიბლიოთეკა მკითხველთა მომსახურებას ახორციელებს ხელზე გატანით და სამკითხველო სივრცეში;
3. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია 09.30-16.00-მდე.
4. ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობისას:
4.1. საბიბლიოთეკო რესურსის გატანის ვადა განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით.
4.2. დაუშვებელია წიგნზე, პერიოდულ გამოცემაზე აღნიშვნების გაკეთება, გადაკეცვა, ფურცლის ამოხევა, საბიბლიოთეკო რესურსის დაზიანება;
4.3. მომხმარებელი ვალდებულია დროულად და სათანადო მდგომარეობაში დააბრუნოს ხელზე გატანილი წიგნი;
4.4. სამკითხველო სივრცეში დაუშვებელია ხმაური, ხმამაღალი საუბარი;
4.5. რესურსის დაზიანების შემთხვევაში, დამზიანებელი/მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4.6. დაუშვებელია სივრციდან რესურსის (წიგნების) გატანა ბიბლიოთეკართან რეგისტრაციის გარეშე.

4.7. ოთახს აქვს შემდეგი რესურსები: პრინტერი/სკანერი,

კომპიუტერი. მუხლი 6. ისტ ლაბორატორია

1. სკოლის ისტ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს;
2 ისტ ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერებით.
3 ისტ ლაბორატორიის სარგებლობისას:
3.1. მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი კომპიუტერში, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები;
3.2. მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე;
3.3. მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ- გვერდით;
3.4. მომხმარებელი უფლებამოსილია იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე;
3.5. მომხმარებელს შეუძლია დისკების გამოყენება, მხოლოდ უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით;
3.6. დაუშვებელია კომპიუტერში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის;
3.7. დაუშვებელია კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში ხარვეზის თვითნებურად გასწორება;
3.8. კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუკი იგი გამოწვეულია მოსწავლის დაუდევრობით ან განზრახი ქმედებით.

მუხლი 7. სპორტული ინფრასტრუქტურა

1. სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი
2. სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს;
3. სპორტული ინფრასტრუქტურისთვის არსებობს შემდეგი რესურსები: სპორტული ინვენტარი ღია და დახურული მოედნისთვის (ბურთები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები და შესაბამისი ინვენტარი, სავარჯიშო რგოლები, სახტუნაო, კეგლი, ტანვარჯიშის ლეიბები, ბადე, კალათბურთის ფარი და ა.შ.

მუხლი 8. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.